

ქ.თბილისი

2019 წლის 10 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 10 სექტემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. გოგეშვილის ოქმი, მთავარი მსაჯის შ. ცაგარეიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 9 სექტემბერს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე, თბ „ლოკომოტივი“-სა და რუსთავის „ხარები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ზურაბ ფრუიძე, მაღალი ბოჭბისთვის, გაძევებული იქნა მოედნიდან წითელი ბარათით მსაჯის მიერ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. სრკ-ს საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 291 პუნქტის გათვალისწინებით, რომლის თანახმად წითელი ბარათის მიმღები მოთმაშე ავტომატურად ტოვებს 1 (ერთი) სათამაშო კვირას, სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბეს ზ. ფრუიძეს არ დააკისრა სრკ-ს სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული სხვა რაიმე დამატებითი სასჯელი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/